



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

**განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 1091**

02 11 2016წ.

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის არქივის დებულების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ოქტომბრის №843 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილების უფროსის 2016 წლის 31 ოქტომბრის №1301970 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის არქივის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ოქტომბრის №843 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული არქივის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი საქმეები 3 წლის განმავლობაში რჩება სტრუქტურულ ერთეულებში და შემდეგ მოწესრიგებულ მდგომარეობაში ბარდება არქივს. განათლების დადასტურების სამსახურში საქმე, დასრულების შემდეგ, ინახება ერთ თვის ვადით.“.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

